

პროექტის მონაცემთა აღწერის ფურცელში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება 2014 წლის 6 იანვრით დათარიღებულ ინგლისურ ვარიანტს.



პროექტის მონაცემთა აღწერის ფურცელი (პმპ) მოიცავს ზოგად ინფორმაციას პროექტის ან პროგრამის შესახებ. იმის გამო, რომ აღნიშნული ინფორმაცია სამუშაო პროცესში მუშავდება, მისი ნაწილი შესაძლოა არ იყოს შესული აღნიშნული აღწერის საწყის ვერსიაში, თუმცადა, დამატება მას შემდეგ, რაც გახდება ხელმისაწვდომი. ინფორმაცია შემოთავაზებული პროექტების შესახებ სავარაუდოა.

პმპ შედგენის თარიღი	-
პმპ განახლების თარიღი	28 ნოემბერი 2013
პროექტის დასახელება	შიდა სახელმწიფოებრივი გზის გაუმჯობესების პროექტი
ქვეყანა	საქართველო
პროექტის/პროგრამის ნომერი	46375-002
სტატუსი	შემოთავაზებული
გეოგრაფიული მდებარეობა	ხარაგაული
<p>ქვეყნის პროგრამის ან სტრატეგიის მომზადებისას, პროექტის დაფინანსებისა თუ წინამდებარე დოკუმენტში კონკრეტული გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მინიშნებისას აზიის განვითარების ბანკი (აზბ) არ ისახავს მიზნად აღნიშნული ტერიტორიისა თუ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის იურიდიული თუ სხვა სტატუსის განსაზღვრას.</p>	
სექტორის და/ან ქვესექტორის კლასიფიკაცია	ტრანსპორტი/საგზაო ტრანსპორტი
თემატური კლასიფიკაცია	ეკონომიკური ზრდა
გენდერული კატეგორიები	გენდერული ბალანსი

დაფინანსება

ხელშეწყობის ტიპი/მოდალობა	დამტკიცების ნომერი	დაფინანსების წყარო	დამტკიცებული თანხის ოდენობა (ათასი)
სესხი	-	აზიის განვითარების ფონდი	100,000
-	-	პარტნიორი	18,000
-	-	-	-
სულ			US\$ 118,000

■ დაცვის კატეგორიები

კატეგორიების შესახებ უფრო სრული ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ <http://www.adb.org/site/safeguards/safeguard-categories>

გარემო	B
იძულებითი განსახლება	B
ადგილობრივი მოსახლეობა	C

■ გარემოსა და სოციალური საკითხების აღწერა

გარემოსდაცვითი ასპექტები

ამ ეტაპზე პროექტს B კატეგორია აქვს მინიჭებული. თუმცა, პროექტის გარემოსდაცვითი ასპექტების დეტალური შესწავლა მოხდება პროექტის რენტაბელობის შესწავლისას და მაშინვე მომზადდება და გამოქვეყნდება გარემოზე ზემოქმედების და მშენებლობისას გარემოსდაცვითი საკითხების მართვისა და მონიტორინგის გეგმა.

იძულებითი განსახლება

ამ ეტაპზე პროექტს B კატეგორია აქვს მინიჭებული. მოსახლეობის იძულებითი განსახლება მოსალოდნელი არ არის. შესაძლოა საჭირო გახდეს კერძო მიწების შესყიდვა გზის უსაფრთხოებისა და ფეხით მოსიარულეთათვის მართებული პირობების შესაქმნელად. აღნიშნული საჭიროებები განიხილება პროექტის რენტაბელობის შესწავლისას და მაშინვე შემუშავდება და გამოქვეყნდება შესაბამისი გეგმა.

ადგილობრივი მოსახლეობა

პროექტი არ მოიაზრებს ადგილობრივ მოსახლეობაზე ან უმცირესობათა ჯგუფებზე რაიმე ზეგავლენას.

■ დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია, მათი ჩართულობა და მათთან კონსულტაციები

პროექტირებისას

რამდენადაც პროექტის ფარგლებში შესაძლოა საჭირო გახდეს კერძო მიწების შესყიდვა, მოსამზადებელი პერიოდის, დაპროექტებისა და მშენებლობის განმავლობაში დაგეგმილია კონსულტაციები სათემო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ მოსახლეობასა და ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირებთან. ამას გარდა, რადგანაც რეგიონში არ არის წარმოდგენილი რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, პროექტის ფარგლებში მოხდება არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზების მოძიება პროექტის პოტენციალისა და შედეგების მაქსიმალური გამოყენების მიზნით.

პროექტის განხორციელებისას

კონსულტაციები გაგრძელდება პროექტის განხორციელებისას. შემუშავებული იქნება საჩივრების მიღების მექანიზმი და აღმასრულებელი სააგენტოს შესაბამისი შტატი სისტემატიურ შეხვედრებს გამართავს ადგილობრივი მოსახლეობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

აღწერა

შიდა სახელმწიფოებრივი გზის გაუმჯობესების შემოთავაზებული პროექტი მიზნად ისახავს 50-კილომეტრიანი მონაკვეთის გაუმჯობესებას. გზის მონაკვეთი ემსახურება თბილისიდან დასავლეთით 150 კილომეტრში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 13 თემში მცხოვრებ 37,000 მოსახლეს. ამ გზის საშუალებით, ხარაგაული აღმოსავლეთ-დასავლეთ ძირითად საერთაშორისო მაგისტრალს უკავშირდება რომელიც ყველა საკვანძო ქალაქს კვეთს. 1982 წლამდე გზის ეს მონაკვეთი ასევე წარმოადგენდა მაგისტრალის ნაწილს, სანამ გზის ახალი მონაკვეთი და ძირუღასა და ჩუმათელეთს შორის გვირაბი აშენდებოდა. ბოლო 10 წლის მანძილზე გზის ეს მონაკვეთი მხოლოდ ალტერნატიულ გზად გამოიყენება. პროექტის ფარგლებში გზის გაუმჯობესებით გაიზრდება მგზავრების ნაკადისა და ტვირთების ბრუნვა, რაც შედეგად ინვესტიციაზე უკუგებას და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მზარდ ეკონომიკურ აქტივობას მოიტანს. პროექტს ორი ძირითადი შედეგი ექნება: (i) ძირუღასა და ჩუმათელეთს შორის დაახლოებით 50 კმ გზის მონაკვეთის გაუმჯობესება; (ii) უკეთესი მისადგომი მიმდებარე რკინიგზის სადგურთან, რაც გზისა და რკინიგზის ურთიერთჩანაცვლების საშუალებას იძლევა; და (iii) გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GIS), რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს გარემოსა და სოციალური საკითხების უკეთ მართვა.

პროექტის არსი და კავშირი ქვეყნის/რეგიონის სტრატეგიასთან

წლების მანძილზე გზა საგრძნობლად დაზიანდა. ბევრი მონაკვეთი აღდგენას აღარ ექვემდებარება და გაუვალია წვიმისა და თოვლის დროს. მისი სრული დატვირთვით ფუნქციონირება ალტერნატიული თუ სატრანზიტო მიზნებისთვის შეუძლებელი გახდა. ამდენად, ხარაგაულის მოსახლეობას რკინიგზით სარგებლობისთვის დიდი მანძილების გაველა უწევს, ზამთრის პერიოდში კი ეს მათი გადაადგილების ერთადერთი საშუალებაა. პროექტი არა მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობისაა. უპირველეს ყოვლისა ის შექმნის გზისა და რკინიგზის ურთიერთჩანაცვლების ალტერნატივას. ამას გარდა, საგრძნობლად გაიზრდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მობილურობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დონის ზრდას, ვინაიდან ადგილობრივი მოსახლეობა თავისი ნაწარმის რეალიზაციას მეზობელ ქალაქებში უფრო მარტივად შეძლებს. სადგურის მიმდებარე ავტობუსის გაუმჯობესებული განერგებები და გზა მგზავრთა ნდობის დონის ზრდასა და გზისა და რკინიგზის ინტეგრაციის ხელშემწყობი ფაქტორი გახდება. კომერციული თვალსაზრისით, გარემო ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გახდება. პროექტიდან 5 კილომეტრში მდებარე გეოთერმული წყარო ამ ადგილს ისეთივე მიმზიდველს გახდის როგორც ის იყო გზის არსებობის პერიოდში. ტურიზმის განვითარება კი შესაძლებელი გახდება ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნულ პარკში მისასვლელად პროექტის ფარგლებში აღდგენილი გზის გამოყენებით. და ბოლოს, პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდება გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის ტესტირება მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს გარემოსა და სოციალური საკითხების უკეთ სამართვად.

ზეგავლენა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მზარდი ეკონომიკური აქტივობა

პროექტის შედეგები

შედეგის აღწერა

პროგრესი შედეგის მისაღწევად

ხარაგაულის მოსახლეობის მობილურობის ზრდა – და რკინიგზის ალტერნატივად საავტომობილო გზის გამოყენების შესაძლებლობა.

■ შედეგები და განხორციელების პროგრესი

პროექტის შედეგის აღწერა	განხორციელების პროგრესი (შედეგები, ღონისძიებები, პრობლემები)
--------------------------------	---

ძირულასა და ჩუმათელეთს შორის დაახლოებით 50 კმ გზის მონაკვეთის აღდგენა. მიმდებარე სარკინიგზო სადგურით სარგებლობის შესაძლებლობა. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის ტესტირება მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს გარემოს, გენდერული და სოციალური საკითხების უკეთ სამართვად.

განვითარების მიზნები	ძირეული ცვლილებები
-----------------------------	---------------------------

–

■ ბიზნეს შესაძლებლობები

პირველი ჩანაწერის თარიღი	5 ივლ 13
---------------------------------	----------

საკონსულტაციო მომსახურება

აღნიშნული სესხის ფარგლებში ნებისმიერი საკონსულტაციო მომსახურების მოთხოვნა და მოწოდება მოხდება აზიის განვითარების ბანკისა და მსესხებლის მიერ კონსულტანტების გამოყენების სახელმძღვანელოს მოთხოვნების შესაბამისად (2013 წლის გამოშვება, დროდადრო რედაქტირებული). პროექტის მოსამზადებელი საკონსულტაციო მომსახურების მოწოდების შემოთავაზება 2013 წლის 4 სექტემბერს განთავსდა ბანკის ბიზნეს შესაძლებლობების ვებ გვერდზე. აღნიშნული მომსახურების დაფინანსება ტექნიკური ხელშეწყობის ფარგლებში მოხდა.

შესყიდვები

აღნიშნული სესხის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების წარმოების მოთხოვნა და მოწოდება მოხდება აზიის განვითარების ბანკის მიერ შესყიდვების წარმოების სახელმძღვანელოს მოთხოვნების შესაბამისად (2013 წლის გამოშვება, დროდადრო რედაქტირებული).

შეტყობინებები შესყიდვების და საკონსულტაციო მომსახურების შესახებ
<http://www.adb.org/projects/46375-002/business-opportunities>

■ ვადები

კონცეფციის დამტკიცება	30 ივლ 13
ფაქტების მოძიების მისია	15 სექ 2015 to 15 სექ 2015
მენეჯმენტის მიერ განხილვა	9 ოქტ 15
დამტკიცება	–
ბოლო მისია	–

■ მიზნები

დამტკიცების ნომერი	დამტკიცება	ხელმოწერა	ეფექტურობა	დახურვა		
				საწყისი	ცვლილებები	არსებული
-	-	-	-	-	-	-

■ ათვისება

თარიღი	დამტკიცების ნომერი	აბზ (აშშ \$ ათასი)	სხვა (აშშ \$ ათასი)	პროცენტულობა
კონტრაქტების ნაერთი ჯამი				
-	-	-	-	-
კონტრაქტების თანხების გადახდის ნაერთი ჯამი				
-	-	-	-	-

■ წინაპირობების შესრულების სტატუსი

წინაპირობები შემდეგ კატეგორიებად არის დაყოფილი – აუდიტის მიერ შემოწმებული პროექტის ფინანსური ანგარიშები, დაცვის საკითხები, სოციალური, სექტორთან დაკავშირებული, ფინანსური, ეკონომიკური და სხვა. წინაპირობების შესრულება ფასდება კატეგორიების მიხედვით შემდეგი კრიტერიუმებით: (i) დამაკმაყოფილებელი – კატეგორიაში ყველა წინაპირობა შესრულებულია ერთი გამონაკლისის დაშვებით, (ii) ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელი – კატეგორიაში მაქსიმუმ ორი წინაპირობა არ შესრულდა, (iii) არადამაკმაყოფილებელი – კატეგორიაში სამი ან მეტი წინაპირობა არ შესრულდა. საზოგადოებასთან ურთიერთობის სახელმძღვანელოს თანახმად, პროექტის ფინანსური ანგარიშის პირობებთან შესაბამისობის რეიტინგი ვრცელდება ისეთ პროექტებზე, რომელთა შესახებ მოლაპარაკებები 2012 წლის 2 აპრილის შემდეგ შედგა.

დამტკიცების ნომერი	კატეგორია						
	სექტორი	სოციალური	ფინანსური	ეკონომიკური	სხვა	დაცვა	პროექტის ფინანსური ანგარიში
სესხი	-	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	-	-

■ საკონტაქტო ინფორმაცია

აბზ-ის პასუხისმგებელი	პრიანკა სენევირატნე (pseneviratne@adb.org)
აბზ-ის პასუხისმგებელი დეპარტამენტი	ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი
აბზ-ის პასუხისმგებელი განყოფილებები	ტრანსპორტისა და კომუნიკაციების განყოფილება, ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი
აღმასრულებელი სააგენტოები	-

■ ბმულები

პროექტის ვებგვერდი	http://www.adb.org/projects/46375-002/main
პროექტის დოკუმენტაციის ჩამონათვალი	http://www.adb.org/projects/46375-002/documents